



THE WORLD BANK

Working for a World
Free of Poverty

პრეს რელიზი

მსოფლიო ბანკი აგრძელებს საქართველოს მთავარი სატრანსპორტო გზის განახლების მხარდაჭერას

დირექტორთა საბჭომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული გზატკეცილის
გაუმჯობესების მეოთხე პროექტი დაამტკიცა

ვაშინგტონი, 2013 წლის 9 მაისი - დღეს მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ
დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა გადაწყვეტილება საქართველოში აღმოსავლეთ-
დასავლეთის ჩქაროსნული გზატკეცილის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის
(EWHIP4) 75.0 მილიონი ა.შ.შ. დოლარის ოდენობის დაფინანსების გამოყოფის
შესახებ. ეს არის უახლესი ინვესტიცია ამ მაგისტრალის აღდგენის პროგრამაში,
რომელიც საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფნის - E60-
ის განახლებისთვის იქნა გამოყოფილი.

მსოფლიო ბანკის მიერ ამ უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო არტერიის
გაუმჯობესების საქმეში საქართველოს მთავრობისთვის მხარდაჭერის გაგრძელება
წინა სამი პროექტის წარმატებას ეფუძნება და მისი მიზანია კიდევ უფრო მეტად
შეუწყოს ხელი ვაჭრობას, ასევე მიმოსვლას თბილისსა და რიკოთის გვირაბის
დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი მონაკვეთის რეაბილიტაციის დასრულების
მეშვეობით. აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული გზატკეცილის გაუმჯობესების
დასრულებული მეორე პროექტის და მიმდინარე პირველი და მესამე პროექტების
მეშვეობით მსოფლიო ბანკმა დახმარება გაუწია ხელისუფლებას აღმოსავლეთ-
დასავლეთის გზატკეცილის მსოფლიო დონის ოთხზოლიან გზატკეცილად
მოდერნიზაციის პროცესში.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული გზატკეცილის გაუმჯობესების მეოთხე
პროექტის ფარგლებში მოხდება E60 გზის სოფელ აგარას და სოფელ გომის
შემოვლით გზებს შორის არსებული მონაკვეთის განახლება, აღნიშნული მონაკვეთი
სოფელ ზემო ოსიაურთან მთავრდება; ასევე განხორციელდება ნატახტარსა და
ხაშურს შორის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად და გზასთან დასაკავშირებლად
საჭირო სამუშაოების ჩატარება. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს
საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო ხარჯების თანდათანობით შემცირებას და

გაუმჯობესებს ამ პროექტის ფარგლებში რეაბილიტირებულ გზის მონაკვეთზე არსებულ უსაფრთხოების ხარისხს; გარდა ამისა, ეს პროექტი გაზრდის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და საავტომობილო გზების დეპარტამენტი შესაძლებლობებს გზების ქსელის დაგეგმარების, მართვის, ასევე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების კუთხით.

„აღნიშნული პროექტით დაფინანსებული იქნება ის საქმიანობა, რომელიც ამჟამად მიმდინარე აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული გზატკეცილის მესამე პროექტით დაგეგმილ პოზიტიურ ნაბიჯებს გააღრმავებს და ეს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული გზატკეცილის დასრულებაში წვლილის შეტანით მოხდება. ქვეყანასთან პარტნიორობის ამჟამინდელი სტრატეგიის ფარგლებში მსოფლიო ბანკი ასევე აგრძელებს საავტომობილო გზების სფეროში მოქმედი დაწესებულებების შესაძლებლობების გაზრდისკენ მიმართული ძალისხმევის მხარდაჭერას. აღნიშნული სტრატეგიის მიხედვით კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებული ამოცანის შესასრულებლად ამ სტრატეგიის ორი ძირითადი შედეგი ქვეყნის მთავარ სატრანზიტო გზებზე მგზავრობის დროის და ხარჯების შემცირება და საგზაო უსაფრთხოების გაზრდა უნდა იყოს“, განაცხადა ჰენრი კერალიმ, მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

„გაუმჯობესებული გზის ხარისხის გარდა ამ გზის მომხმარებლები ასევე თავს აარიდებენ შესაძლო საცობებს (რაც გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული), გარდა ამისა ისინი უკეთესი საგზაო უსაფრთხოებით და შემცირებული მგზავრობის დროის შედეგად მიღებული ეკონომიითაც ისარგებლებენ“, განაცხადა ჯორჯ ბანჯომ, მსოფლიო ბანკის აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული გზატკეცილის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის გუნდის ხელმძღვანელმა.

ევროპული სატრანსპორტო გზა E60 სიდიდით მეორე ევროპული საგზაო დერეფანია, რომელიც იწყება ქალაქ ბრესტში, საფრანგეთი (ატლანტიკის ოკეანის სანაპირო) და მთავრდება ირკუმტამში, ყირგიზეთის რესპუბლიკა (ჩინეთის საზღვარს რესპუბლიკის საზღვართან). საქართველოში E60 იწყება აზერბაიჯანის საზღვართან არსებულ წითელ ხიდთან და მთავრდება შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ფოთის პორტთან, სულ ამ დერეფნის საქართველოში არსებული მონაკვეთი დაახლოებით 392 კილომეტრს შეადგენს.

1992 წლიდან დაწყებული მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხების საერთო ოდენობამ 1.82 მილიარდი ა.შ.შ. დოლარი შეადგინა, ეს თანხები 55 პროექტის განხორციელებას მოხმარდა.

პრეს რელიზი
2013/384/ECA

საკონტაქტო პირი:

ინგა პაიჭაძე (99532) 291 30 96 ipaichadze@worldbank.org

მსოფლიო ბანკის საქმიანობების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ
ეწვიოთ : www.worldbank.org.ge